სამრეწველო-ინოვაციური კლასტერების მიმართულებები ბიზნესში

ციალა ლომაია –
სტუ-ს პროფესორი
ელეონორა ლაგვილავა –
სტუ-ს დოქტორანტი

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირების განხორციელება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის, კერძოდ, მკვლევარ ა. აბრალავას შეფასების თანახმად, ინოვაცია გვევლინება, „როგორც გლობალიზაციის მთავარი პოზიტივი" (ა. აბრალავა). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გლობალიზაცია და თანამედროვე გლობალური კრიზისი, ეროვნული ეკონომიკის მართვის პრობლემები, ბიზნესის არსებული ტემპის პირობებში თანამედროვე კაპიტალმოძრაობის ძირითადი თავისებურებანი დღის წესრიგში აყენებს ბიზნესსა და ეკონომიკის სოციალურ შინაარსზე ინოვაციების გავლენის არსებითი ტენდენციების განვითარების საკითხს.

ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება და პრიორიტეტთა განსაზღვრის ორგანიზაციული სისტემის ფორმირებისა და სრულყოფის ამოცანის გადაწყვეტა. ამ გადასახედიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სამრეწველო-ინოვაციური კლასტერების განვითარების თანამედროვე დონე, რომლის შესწავლის პროცესშიც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ინსტიტუციონალურ გარემოს, ვინაიდან სწორედ იგი განსაზღვრავს აღნიშნულ კლასტერების განვითარების თანამედროვე ეტაპს და უზრუნველყოფს მათ ფინანსურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას სამი ძირითადი მიმართულებით: ევროკავშირი მთლიანობაში, ევროპის ცალკეულ ქვეყნებს შორის და ნაციონალურ დონეზე. მხარდაჭერის სისტემის განვითარების ხარისხსა და შეთანხმებულობაზეა დამოკიდებული ევროპის ცალკეული ქვეყნებისა და ევროკავშირის, როგორც ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის, კონკურენტუნარიანობა.

შეიძლება გამოვყოთ ევროპული კლასტერული პოლიტიკის ხუთი ძირითადი ტიპი:

1. საშუამავლო პოლიტიკა (ბიზნესთან თანამშრომლობა, ბიზნესინკუბატორების განვითარება);

2. პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მაღალი დონის მოთხოვნის სტიმულირებისკენ (ინფორმაციის ღიაობა);

3. სწავლების პროგრამების განვითარების ღონისძიებები;

4. საერთაშორისო კავშირების განვითარების სტიმულირება;

5. სტრუქტურული პოლიტიკა (ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციონალური განვითარება).

ამასთან, ყველა კლასტერული პოლიტიკა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად. ესენია: კონცენტრაციის ზრდა და კონკურენტუნარიანობა.

საწარმოო-ინოვაციური კლასტერების განვითარება ევროკავშირის ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილია. თავდაპირველად კლასტერების განვითარება წარმოადგენდა როგორც ზოგადეკონომიკური კლასტერული პოლიტიკის ნაწილს, ისე დამოუკიდებელი პოლიტიკის ობიექტს.

ევროკავშირი დღეს უკვე გადადის ლისაბონის სტრატეგიიდან, რომელიც მიღებული იყო 2000-2010 წლებისთვის, ეკონომიკურ სტრატეგიაზე „ევროპა–2020" (A European strategy for smart, sustaineble and inclusive groth), რომელიც მიმართულია ეკონომიკის ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისკენ. ბუნებრივია, კლასტერიზაციის პროცესი უნდა იქცეს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად ევროკავშირის მაღალი კონკურენტუნარიანობის მისაღწევად. 2010 წლის მარტში ევროკომისიის მიერ მიღებულ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია 7 ძირითადი ინიციატივა (flagship initiatives) და მასში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პოსტკრიზისულ პერიოდში ინოვაციების დაფინანსების პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვანია საწარმოო-ინოვაციური კლასტერების პროცესში.

ქვემოთ წარმოვადგენთ ევროკავშირის კლასტერული ორგანიზაციების, ინიციატივებისა და პროგრამების აუცილებელ განმარტებებს.

უპირველესად აღვნიშნავთ ევროკომისიის ჩარჩო-პროგრამა „Europe INNOVA"-ს თაობაზე, რომელიც წარმოადგენს მრეწველობისა და მეწარმეობის ევროკომისიის დირექტორატის ინიციატივას (Directorate General for Enterpeise and indasteg) და მოწოდებულია გახდეს ინოვაციების განვითარების მხარდამჭერი ახალი ინსტრუმენტებისა და ტესტირებების ლაბორატორია. იგი აერთიანებს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს, ამოქმედდა 2006 წელს და მიზნად ისახავს იმ ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს, რომლებიც ხელს უწყობს და ხელს უშლის ინოვაციების განვითარებას. მისი ძირითადი მიზანია დაეხმაროს და ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს საწარმოო ინოვაციების სფეროში. 2009 წელს განისაზღვრა აღნიშნული ინიციატივის სამი პრიორიტეტული მიმართულება: ტრანსსასაზღვრო კლასტერული თანამშრომლობა, ცოდნასა და ინფორმაციაზე დაფუძნებული მომსახურება და ეკო-ინოვაციები. Europe INNOVA-ს ფარგლებში ორი განსაკუთრებით პერსპექტიული მიმართულებაა კლასტერული პარტნიორობები: „EcoClup", მიმართული ეკო-ინოვაციური დარგების კვლევითი ცენტრების მხარდაჭერისკენ და „ABC Europe", მიმართული მსოფლიო დონის კლასტერების განვითარებისკენ ბიოტექნოლოგიის სექტორში.

მნიშვნელოვანია On-line პლატფორმა The European Clasters Observatory, რომელიც ამოქმედდა 2007 წელს და უზრუნველყოფდა ევროპაში კლასტერებისა და კლასტერული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. იგი ახორციელებს კონკურენციის რეგიონალური პირობების, კლასტერების ტრანსნაციონალური ქსელების განვითარების, ახალ დარგებში კლასტერების ანალიზს და შეისწავლის კლასტერული ორგანიზაციების შექმნის საუკეთესო პრაქტიკას.

ევეროკავშირის კლასტერული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია კლასტერების განვითარებისა და თვალყურის დევნების ევროპული სისტემა, რომელიც ორიენტირებულია სამ მიზნობრივ ჯგუფზე. ესენია: პოლიტიკოსები და საერთაშორისო მოხელეები საერთოევროპულ, ნაციონალურ,რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე; მმართველი კლასტერების პერსონალი; მეცნიერები და მკვლევრები. მის ფარგლებში შექმნილი ევროპული კლასტერების კარტოგრაფირების ოფიციალური ინსტრუმენტი (European cluster mapping tool) საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ კლასტერების საქმიანობის სტატისტიკას და მივიღოთ მონაცემები რეგულირების სისტემის შესახებ, რომელიც აყალიბებს რეგიონალურ კონკურენტუნარიანობას.

ევროკავშირის ფარგლებში არსებული ინოვაციური ინიციატივა PRO INNO Europe აერთიანებს ნაციონალური და რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შედარებით ანალიზსა და რეალიზაციის შეფასებას. იგი თანდათან ხდება ევროპული ინოვაციური პოლიტიკის ანალიზისა და განვითარების ძირითადი წყარო, აერთიანებს პროცესის 200 მონაწილეს და დაინტერესებულ პირებს 33 ქვეყნიდან.

ინიციატივა „ცოდნის რეგიონები" (Regions of knowlenge) კვლევებისა და შემუშავების ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამის მე-7 ნაწილს წარმოადგენს და ხელს უწყობს ქსელური თანამშრომლობის განვითარებას საერთოევროპულ დონეზე ინოვაციურ კლასტერებს შორის. მასში ჩართულია ადგილობრივი ხელისუფლება, საწარმოები და კვლევითი ცენტრები. მისი მიზანია ევროკავშირის რეგიონების სამეცნიერო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის გზით, ევროპული ინვესტიციების გაზრდა სამეცნიერო კვლევებში, ამ კუთხით საერთოევროპული ხარჯების გაზრდა მთლიანი შიგა პროდუქტის 3%-მდე.

ინიციატივა „მეწარმეობის მხარდაჭერის ევროპული ქსელი" (Enterprise) ამოქმედდა მეწარმეობისა და მრეწველობის ევროკომისიის დირექტორატის მიერ 2008 წელს, პირველ რიგში, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიზნით.

ევროკავშირის ძირითადი ინსტრუმენტი Europe Network EEN ემსახურება ეკონომიკური ზრდის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეხმარება მცირე და საშუალო კომპანიებს განავითარონ საკუთარი ბიზნესი ახალ ბაზრებზე, აიღონ ლიცენზიები და შეიძინონ ახალი ტექნოლოგიები, აადვილებს მათ ხელმისაწვდომობას ევროკავშირის ფინანსირების ფონდებთან. აერთიანებს სამრეწველო პალატებს, ტექნოლოგიურ ცენტრებს, კვლევით ინსტიტუტებს, განვითარების სააგენტოებს. მისი დახმარებით ევროკომისიას აქვს უკუკავშირი და იღებს ინფორმაციას მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებისა და მიმართულებების შესახებ, ხოლო მცირე და საშუალო მეწარმეებს სამრეწველო-ინოვაციურ კლასტერებში მონაწილეობის საშუალება ეძლევა.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები (EU structural funds) (რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი ERDF და ევროპის სოციალური ფონდი ESF) დაახ-

ლოების ფონდთან ერთად (Cohesin Fund). ისინი მიმართულია რეგიონალური უთანასწორობის შემცირებისკენ შემოსავლების კეთილდღეობისა და მოქალაქეების შესაძლებლობების მიხედვით.

ღია პლატფორმა ევროპის კლასტერული ალიანსი (EuropeanClaster Alliance) ხელს უწყობს დიალოგის განვითარებას ნაციონალურ და რეგიონალურ უწყებებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კლასტერული პოლიტიკის განვითარებაზე და უზრუნველყოფენ კლასტერული პროგრამების შესრულებას ევროკავშირში.

ევროპის კლასტერული მემორანდუმი (European Cluster Memorandum) შეიქმნა 2007 წელს 11 მაღალი რანგის ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფის მიერ (High level advisory group of experts on clusters) Europa INNOVA-ს ერთ-ერთი ინიციატივის ფარგლებში და შეიცავს რეკომენდაციებს კლასტერული პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ როგორც მთლიანად ევროკავშირის, ისე ცალკეული სახელმწიფოსთვის.

ევროპული კლასტერული პოლიტიკის შემუშავების ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა ევროკომისიის მიერ 2008 წელს, შეიმუშავა ევროპული კლასტერული პოლიტიკა და ევროკომისიას მისცა 5 რეკომენდაცია კლასტერების შემდგომი განვითარების პრიორიტეტებზე. ესენია:

1. გაძლიერდეს კოორდინაცია ევროპის სხვადასხვა კლასტერულ პოლიტიკას შორის;

2. უზრუნველყოფილ იქნეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება ევროპის თანამედროვე კლასტერული ლანდშაფტის განვითარების შესახებ;

3. ხელი შეეწყოს კლასტერებს შორის სტრატეგიულ და კომერციულ ქსელურ თანამშრომლობას;

4. ხელი შეეწყოს მონაწილეთა საერთაშორისო მობილურობას;

5. ხელი შეეწყოს კლასტერებში ნიჭიერი პროფესიონალების მოზიდვას მთელი მსოფლიოდან.

ევროპული კლასტერების სრულყოფის ინიციატივა (European Cluster Excellence initiative) ამოქმედდა 2008 წელს ევროკომისიის მიერ და მიმართულია კლასტერების მართვის სისტემების სრულყოფისაკენ.

ევროკავშირის კლასტერული პოლიტიკის ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შესახებ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ინფორმაციის შესწავლის შედეგად ცალსახად დასტურდება:

- ევროპული კლასტერული პოლიტიკა მიმართულია რეგიონების ცოდნის ფორმირებისა და ინოვაციების განვითარებისკენ;
- უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ოფიციალური ორგანოები უმეტესად აფინანსებენ იმ პროექტებს, რომლებიც გეგმავენ ქსელური თანასაზოგადოების ჩამოყალიბებას თვით კლასტერების ორგანიზატორებსა და მონაწილეთა შორის;
- ურთიერთქმედება კლასტერებს შორის და კლასტერების განათლების პროგრესის ინტერნაციონალიზაცია ის სფეროებია, რომლებშიც ევროკავშირის ორგანოები ძირითად როლს ასრულებს.

ნათელია, რომ ინოვაციის პროგრამის მხარდაჭერას ევროკავშირის დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სამრეწველო კლასტერების განვითარებისთვის და გლობალური კონკურენციის თანამედროვე პირობებში ქსელური თანამშრომლობისა და კლასტერთაშორისი ურთიერთქმედების განვითარება გარდაუვალი პროგრესია.

ევროპული კლასტერული ორგანიზაციები და ინიციატივები შეიძლება დავყოთ რეგიონალური და დარგობრივი პრინციპით.

ორგანიზაცია Europa intercluster შეიქმნა 2007 წელს და თავდაპირველად წარმოადგენდა რამდენიმე კლასტერული ორგანიზაციის ინიციატივას ანუ განავითარა „ქვემოდან – ზემოთ" პრინციპი. ამჟამად იგი არის კლასტერთშორისი ურთიერთქმედების არაკომერციული ევროპული სააგენტო, ინიცირებს ფართო დისკუსიას თანამედროვე საერთოევროპული პრობლემების გარშემო სამრეწველო-ინოვაციური კლასტერების განვითარების სფეროში.

საერთოევროპული კლასტერული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს მსოფლიო დონის ევროპული კლასტერების მნიშვნელოვანი რაოდენობის განვითარების აუცილებლობა („World class clusters"). შესაძლებლობა, რომელსაც გვთავაზობს ეროპა ინტერცლუსტერს, მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბდეს სტრატეგიული კლასტერული ალიანსები. კონკრეტული წინადადებები თავმოყრილია ე.წ. „თეორ წიგნში" (White paper) – დაწვრილებით მოხსენებაში, რომელიც მოიცავს 3 გამოწვევას, 9 ფუძემდებლურ პრინციპსა და 7 წინადადებას.

სამი გამოწვევა, რომლებსაც პასუხი უნდა გასცენ ევროპულმა კლასტერებმა, მდგომარეობს შემდეგში:

1. მიმდინარე გლობალიზაცია მოიცავს კლასტერებისაგან ერთიანი, მთლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას საკუთარი ფასეუ-

ლობების ჯაჭვის ჩამოსაყალიბებლად, რისთვისაც აუცილებელია პოზიციების დაკავება მზარდ ბაზარზე;

2. შიდა კონსოლიდაციის აუცილებლობა (სრულფასოვანი ინოვაციური ციკლი – იდეიდან პატენტამდე, პროტოტიპიდან დიზაინამდე, წარმოებიდან ბაზარზე გასვლამდე).

3. სარგებლის მიღება ევროპული პოტენციალებისგან. ევროპულმა კლასტერებმა უნდა მოახდინონ კონსოლიდაცია, ჩამოაყალიბონ ალიანსები, რათა გაცვლის კულტურიდან გადავიდნენ თანამშრომლობის კულტურაზე. ექსპერტების აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნას მსოფლიო დონის ევროპული კლასტერები.

შვიდი წინადადება, რომლებიც შეიმუშავეს ექსპერტებმა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზის შედეგად, ძირითადად ეხება ევროკავშირის კლასტერულ პოლიტიკაში ცვლილებებს სტრუქტურულ და ინოვაციურ იერარქიაში. შემდგომში მოხდა მათი გაერთიანება „კლასტერების ევროპულ პაქტში", რომელიც წარედგინა ევროპარლამენტს და ევროკომისიას.

TCI-ის ინიციატივა შეიქმნა კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში (the Competitiveness institute) და კლასტერების პროფესიონალ მონაწილეებს აერთიანებს კონკურენტუნარიანობის განვითარებისა და ინოვაციების გლობალურ ქსელში.

ნაშრომში განსაკუთრებული კვლევის საგნად ვაქცევთ სახელმწიფოს როლს კლასტერების ჩამოყალიბების პროცესში. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მივუთითებთ, რომ ევროპაში ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა კ. კატელსის მიდგომამ, რომელიც

მ. პორტერის მიმდევარია და ავტორია კვლევებისა ევროპის ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის შედარებითობის შესახებ. მისი კონცეფციის თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა შეარჩიოს პოტენციური კლასტერების მონაწილეები, არ უნდა განსაზღვროს განვითარების პრიორიტეტი, სახელმწიფოს შეუძლია დააფინანსოს კლასტერები და ინიცირება გაუწიოს მათ. სახელმწიფო უნდა მონაწილეობდეს და მზად იყოს შეასრულოს რეკომენდაციები, მხარს უჭერდეს მონაცემების ხელმისაწვდომობას.

თეორიამ და პრაქტიკამ დამაჯერებლად დაადასტურა და დაამტკიცა, რომ კლასტერები უფრო ეფექტურად ვითარდება იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ძალისხმევა მიმართულია „ქვემოდან – ზემოთ" და ინიციატივა მოდის თვით მომავალი მონაწილეებისაგან.

ამრიგად, კლასტერების განვითარების საქმეში სახელმწიფოს როლის უმთავრეს საკითხად რჩება მისი ჩარევის დონე და ხარისხი. აღსანიშნავია მისი, როგორც რეგულატორის, სამმაგი როლი, რომელიც განსაზღვრავს „სამმაგი სპირალის" ყველა ელემენტს შორის ურთიერთქმედების წესებს (სახელმწიფოს, ბიზნესის და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სტრუქტურების).

ჩვენი აზრით, პოლემიკა მოცემულ საკითხზე შეიძლება დავიყვანოთ სამ ძირითად შეზღუდვაზე:

1. კლასტერები ბუნებრივად ვითარდება და არ შეიძლება მათი შექმნა სახელმწიფოს დახმარებით.

2. ესაა ჰორიზონტალური კავშირების სისტემები. ამიტომ სახელმწიფოსა და ფირმათა ქსელებს შორის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც იერარქია იერარქიის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე – არაეფექტურია.

3. კლასტერების ფორმირებასა და განვითარებას სჭირდება მნიშვნელოვანი ფინანსები. შესაძლებლობა ამ შემთხვევაში ადვილი განსაჭვრეტია: სახელმწიფოს შეუძლია იყოს აქტიური ინვესტორი პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ კლასტერების განვითარებას.

ცხრილში წარმოდგენილია კლასტერულ პროგრამებში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები, აგრეთვე მხარდაჭერის ის სახეები, რომლებსაც ისინი შეიცავენ.

ამრიგად, ევროპული კლასტერული პროგრამების ყველაზე უფრო გავრცელებული მიზანია კლასტერის ექსპანსია, ხოლო მხარდაჭერის ყველაზე უფრო რეგულარულად გამოყენებადი სახეა ქსელური თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა ორგანიზება, რაც ბიზნესის მოცემული მოდელის განვითარების ქსელურ პრინციპს ადასტურებს.

„Cluster policy in Europe. A brief summery of cluster Mapping project"–ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა Europe innova Cluster Mapping project-ის ფარგლებში, ნორვეგიულ კომპანია Oxford Research–თან ერთად 2008 წელს, გვიჩვენა, რომ სახელმწიფო კლასტერული პოლიტიკის მნიშვნელობა თანდათან იზრდება. სახელმწიფოს ჩარევის სფეროები, რომლებშიც კლასტერები წამყვან როლს ასრულებენ, ჯერჯერობით მხოლოდ მეცნიერებით და განათლებით შემოიფარგლება. კვლევამ 75 სახელმწიფო სააგენტო და 69 კლასტერი გამოავლინა. ქვეყნების უმეტესობა არის 1-2 სააგენტო და 1 ძირითადი კლასტერული პროგრამა.

მხარდაჭერის მიზნები/ მხარდაჭერის სახეები	პერსონალის განვითარების დონის ამაღლება	კლასტერის ექსპანსია	ბიზნესის განვითარება	საგაჭრო თანამშრომლობა	კვლევები, დამუშავებები და ინოვაციები	ბიზნეს გარემო
შუამავლობა კონტაქტებსა და ინფორმაციის მოძიებაში	*	***	*	***	**	
პრაქტიკული დახმარება და კონსულტირება	**	***	***	*	*	
პირდაპირი დაფინანსება და შეღავათები	*	***	**	*	**	
სემინარები და სწავლებები	***	**	*	***	**	
ქსელური თანამშრომლობის განვითარების ღონისძიება და ორგანიზება	*	*	***	***	***	**
ლობირება						***
მარკეტინგი	*	**			*	*
მონიტორინგის ჩატარება და ანგარიშგების შედგება	**	**	*	*	***	***

*** – გამოიყენება რეგულარულარდ; ** – გამოიყენება ზოგჯერ; * – გამოიყენება იშვიათად.
წყარო: PRO INNO Europe Paper S innovation clusters in Europa
A statistical analysis and overview of current policy support. Pdf. – P. 19 II URL;
www. Proinno-europe. Eu/publications.

პროგრამათა დიდ უმეტესობას აქვს საერთო ნაციონალური მასშტაბი. მუნიციპალური და რეგიონალური პროგრამების რაოდენობა ძალზე მცირეა. მხარდაჭერის ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები ბიზნეს და სამეცნიერო სტრუქტურებია. ამასთან, შერჩევა ხდება როგორც ქვემოდან – ზემოთ (39 პროგრამა), ისე ზემოდან – ქვემოთ (28 პროგრამა). Oxford Research-ის ექსპერტების დასკვნების მიხედვით, კლასტერები ჯერჯერობით ვერ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ევროპული ქვეყნების ნაციონალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში.

შეიძლება დავეთანხმოთ კლასტერული პოლიტიკის სამ კატეგორიას, რომლებიც ამ კვლევაში აისახა:

- კლასტერების განვითარების პოლიტიკები, რომლებიც მიმართულია გარკვეული კლასტერის მობილიზებაზე ან გაძლიერებაზე, მაგ. კონკურსები განვითარების საუკეთესო სტრატეგიის დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ;
- კლასტერების პოტენციალის (Cluster leveraging policies) გამოყენების პოლიტიკა გარკვეული ინსტრუმენტის განვითარების ეფექტიანობის ასამაღლებლად, მაგ.: სუბსიდიები სამეცნიერო კვლევებისთვის, რომლებსაც გასცემს სახელმწიფო ცალკეული ფორმებისთვის მხოლოდ კლასტერის ფარგლებში, რომლებსაც ექნებათ ხპილოვერის ეფექტი;
- კლასტერების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მიკროეკონომიკური ბიზნეს-გარემოს ელემენტებისაკენ. მაგ.: რეგიონალური პოლიტიკები, რომლებიც ამცირებენ კონკურენციის ბარიერებს ტერიტორიებს შორის.

თუ გადავხედავთ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის იერარქიას, შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი დონე:

I. პოლიტიკა. სახელმწიფოები, როგორც წესი, საგანგებო დოკუმენტში ასახავენ სტრატეგიულ ჩანაფიქრებს (white paper). აუცილებელი არაა ეს დოკუმენტი შეიცავდეს გარკვეულ ინსტრუ-

მენტებს, დაფინანსების ვარიანტებს ან მოვალეობათა განაწილებას, მაგრამ მასში დაყენებულია პოლიტიკური მიზნები და განსაზღვრულია მოტივაცია ამა თუ იმ ქმედებების შესასრულებლად;

II. პროგრამა. იმისათვის, რათა განზრახულობიდან რეალურ მოქმედებაზე გადავიდნენ, ხელისუფლება აყალიბებს პროგრამებს ფინანსირების მიმართულების, მოვალეობათა წრის და განსაკუთრებული პირობების განსაზღვრისათვის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება სახსრების მიღება;

III. აღმასრულებელი სააგენტო. თითოეული პროგრამის შესრულება არის სახელმწიფო სააგენტოს ან სამინისტროს პასუხისმგებლობა. ამასთან, პროგრამა შეიძლება იყოს როგორც მათი საქმიანობის ძირითადი სახე, ისე სააგენტოს საქმიანობის მცირე ნაწილი.

ნაციონალური კლასტერული პროგრამები, როგორც წესი, ფინანსირდებიან რამდენიმე წყაროდან, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით, დაფინანსების ძირითადი წილი მაინც ნაციონალურ ბიუჯეტებზე მოდის. კლასტერული პოლიტიკები ხშირად იქმნება იმისათვის, რომ ევროპული ქვეყნების კერძო სექტორში განვითარდეს ინოვაციები. დაფინანსების პროგრამების მეორე მნიშვნელოვანი მიზნობრივი ჯგუფი კვლევითი ინსტიტუტებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა – ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბილისი, 2014/

2. ა. აბრალავა – ევროკავშირის კლასტერული პოლიტიკა, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", №3. 2013.

3. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი – ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბილისი, 2011.

4. ე. ბარათაშვილი, ლ. ბერიკაშვილი, რ. ოთინაშვილი, ა. აბრალავა – ბიზნესის ქსელური ორგანიზაცია: კლასტერული მენეჯმენტი და უსაფრთხოება, თბილისი, 2011.

5. ვ. კატუკია – ინსტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციები და ქართული რეალობა, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", №2. 201.

6. Garelli S., The World Competitiveness Landscape in 2006/IMD World.

7. Competitiveness Yearbook 2006 //http://www.imd.ch.

DIRECTIONS OF INDUSTRIAL INNOVATIVE CLUSTERS IN BUSINESS

TSIALA LOMAIA - professor of GTU

ELEONORA LAGVILAVA - PhD student of GTU

Institutional environment basically defines the modern development level of European industrial-innovative clusters through providing their financial and intellectual support.

The main component of State role in the development of clusters is its interference level and quality.

In the modern global competition conditions the development of network cooperation and inter-cluster interaction is inevitable process.